# გორის მუნიციპალიტეტის
# საკრებულო
## განკარგულება № 138

## 2024 წლის 13 სექტემბერი

ქალაქი გორი

**გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 66.45.31.628) 20კვ.მ–ის პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 04 მარტს შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილი იყო ქ. გორში, თამარ მეფის V კვარტალში მდებარე დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის, რომელიც შემდგომში დარეგისტრირდა გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და მიენიჭა საკადასტრო კოდი 66.45.31.628 საერთო ფართობი 20 კვ.მ, იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის მიერ 2024 წლის 23 აგვისტოს N273-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით (მისამართი: ქალაქი გორი, თამარ მეფის V კვარტალი), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.31.628 (დაზუსტებული ფართობით -20 კვ.მ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის

ნაკვეთის ს/კ 66.45.31.628 საერთო ფართობის 20 კვ.მ ფართის, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (გორში, თამარ მეფის V კვარტალში) მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.31.628 საერთო ფართობი 20 კვ.მ. გაცემული იქნეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით, კომერციული საქმიანობის მიზნით, კერძოდ, მსუბუქი კონსტრუქციის განსათავსებლად.
2. მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.31.628 საერთო ფართობი 20 კვ.მ-ის საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.
3.საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.
4.აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემულ იქნეს მსუბუქი კონსტრუქციის განსათავსებლად. მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, თავისი ხარჯებით, მოახდინოს მუნიციპალური ქონების გამოთავისუფლება და ჩაბარება პირვანდელ მდგომარეობაში.
5.გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ერთი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).
6.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 3 (სამი) წლით.
7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

საქართველო. გორის მუნიციპალიტეტი GEORGIA. GORI MUNICIPALITY 218086087

დავით რაზმაძე